ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2858034

ნომერი: AR1443888

თარიღი : 26.09.2016

გაცემის თარიღი : 27.09.2016

გაცნობის თარიღი : 27.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის , (ნაკვეთი 09/033) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ გიგაური პ/ნ 01019002597
- თბილისი ც.დადიანის ქ. N 152 ბ. 28

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01.04.2015 წ. №1818582 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 26/09/2016 წ. # AR1443888 განცხადებით მომართა

ვასილ გიგაურმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01.04.2015 წ. №1818582 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, დამკვეთად მოჰამმად შამსზადეს ნაცვლად შპს „აკა“-ს მითითება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01.04.2015 წ. №1818582 ბრძანებით, ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. N 01.10.06.009.044)შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 31 მარტიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით. აღნიშნულ აქტში დამკვეთად დაფიქსირდა მოჰამმად შამსზადე.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, შეიცვალა საპროექტო ობიექტის მესაკუთრე და დღეის მდგომარეობით, N 01.10.06.009.044 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „აკა“ (განაცხადის რეგისტრაციის N 882016302403, ამონაწერის მომზადების თარიღი: 18/05/2016 წ.).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „აკა“-ს დირექტორია ჯამათა ჩარკვიანი (განაცხადის რეგისტრაციის B15235287; ამონაწერის მომზადების თარიღი: 08/12/2015).

განცხადებით წარმოდგენილია 2016 წლის 14 მაისის #160504356 მინდობილობა, რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ ვასილ გიგაური უფლებამოსილია იყოს შპს „აკა“-ს წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01.04.2015 წ. №1818582 ბრძანებაში დამკვეთად მოჰამმად შამსზადეს ნაცვლად მიეუთითოს შპს „აკა“.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01.04.2015 წ. №1818582 ბრძანებაში და დამკვეთად მოჰამმად შამსზადეს ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „აკა“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 01.04.2015 წ. №1818582 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge